საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N01-02/150

ქ. ბათუმი **10 აგვისტო, 2023 წ.**

2023 წლის აგვისტოში ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ–ს წესდების მე–13 მუხლის, „ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესისა და სამეცნიერო თანამდებობის დაკავებისათვის დამატებითი მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N05 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ” ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 10 ივლისის N 01-02/131 ბრძანების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. 2023 წლის აგვისტოში ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

1.1. დამტკიცდეს საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღები საპროცედურო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) ხათუნა ხალვაში - საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) უფროსი, თავმჯდომარე);
ბ) დარეჯან ბარაბაძე - საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) მთავარი სპეციალისტი, თანაშემწე.
გ) დალი კახიძე - საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) მთავარი სპეციალისტი.

1.2. საპროცედურო კომისია ვალდებულია:

ა) საპროცედურო კომისიის სამუშაო ოთახში (ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის N35/32, პირველი კორპუსის პირველ სართულზე, N2 ოთახი) მიიღოს საკონკურსო **დოკუმენტაცია 2023 წლის 14 აგვისტოდან 15 აგვისტოს ჩათვლით, 10:00 საათიდან 16:00 საათამდე** (მატერიალური სახით წარმოდგენილი დოკუმენტაცია კომისიის მიერ მიღებული იქნეს მას შემდეგ, როცა დადასტურდება ელექტრონული სახით გადმოგზავნილი დოკუმენტაციის მიღება (მისამართზე - bsukonkursi2022@bsu.edu.ge);
ბ) საპროცედურო კომისიაში მიღებული დოკუმენტაცია, შესაბამის საკონკურსო კომისიას გადასცეს არაუგვიანეს 2023 წლის 16 აგვისტოს 11:00 სთ-სა;
გ) დარეგისტრირებული განცხადებების (საკონკურსო ადგილი და კონკურსანტები) შესახებ ინფორმაცია განათავსოს ბსუ-ს ვებგვერდზე;

დ) კონკურსანტთა საჩივრები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიიღოს საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს მე-3 სამუშაო დღისა, 10:00 საათიდან 16:00 საათამდე;

ე) ელექტრონულ მისამართზე - bsukonkursi2022@bsu.edu.ge) გადმოგზავნილ კონკურსანტთა დოკუმენტაცია შეინახოს ელექტრონულ მატარებელზე და საჭიროების შემთხვევაში მიაწოდოს საკონკურსო/სააპელაციო კომისიას;

ვ) შემოსული საჩივრები, იმავე სამუშაო დღის 17:00 სთ-მდე გადასცეს სააპელაციო კომისიას, მათი შემოტანიდან 3(სამი) კალენდარული დღის განმავლობაში განხილვის უზრუნველსაყოფად, მაგრამ არაუგვიანეს 2023 წლის 18 აგვისტოს 18:00სთ-სა;

ზ) საპროცედურო, საკონკურსო და სააპელაციო კომისიების მუშაობის პერიოდში, 2023 წლის 14 აგვისტოდან - 2023 წლის 18 აგვისტოს ჩათვლით (სააპელაციო კომისიის ბოლო სამუშაო დღე), გაუწიოს მათ საკონსულტაციო მომსახურება და მიაწოდოს სამუშაო მასალა (რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ფორმები);

თ) სააპელაციო კომისიის თხოვნის საფუძველზე, გამოცხადდეს ამ კომისიის სხდომაზე და მისცეს განმარტებები, თუკი აღნიშნული უკავშირდება კონკურსანტის მიერ გასაჩივრებულ საკონკურსო პროცედურებს;

კ) უფლებამოსილების განხორციელებისას იხელმძღვანელოს „ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესისა და სამეცნიერო თანამდებობის დაკავებისათვის დამატებითი მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N05 გადაწყვეტილებით, „ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 10 ივლისის N 01-02/131 და წინამდებარე ბრძანებებით.

2. ეთხოვოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს უზრუნველყოფილი იქნეს საპროცედურო, საკონკურსო და სააპელაციო კომისიები წინასწარ გამოყოფილი სამუშაო ოთახებით, რომლებიც აღჭურვილი იქნება შესაბამისი ინვენტარით.
3. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის აპარატს, რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, კომისიის წევრებს და გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (კონკურსების ველში).
4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**